გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის **- ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. **ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის** დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. **ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელად** შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს **ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის** მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის (უვადო, ვადიანი) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-10 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტით.

3. **კონკურსი ცხადდება ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის** გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

4. **კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს**:

4.1 მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (ვადიანი) დადგენილ ძირითად მოთხოვნებს (ვაკანსიის პროფილის მიხედვით), რაც მდგომარეობს შემდეგში:

- მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის თანდართული კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2 კანდიდატს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის), კერძოდ, საერთაშორისო ან ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო ან სამეცნიერო კომიტეტებში მუშაობის გამოცდილება.

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია

N	სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის სახეობა

1	– მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია),რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;
	– სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ის მიერ;
	– სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIHPLUS-ის მიერ.
2	– სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;
	– სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;
	– ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*
3	– რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის;
	– სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში;
	– ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე სამეცნიერო პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი;
	– სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.
4	– საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;
	– საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar -ის მიერ

* საქართველოში გამოცემული სამენციერო პუბლიკაციების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ პუბლიკაციაზე უნივერსიტეტის მოთხოვნის არსებობისას რეცენზიების წარმოდგენა.

1. **კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

- **განცხადება** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე (შეივსება ადგილზე);
- **პირადობის** დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტი/პირადობის მოწმობა) ასლი;
- შესაბამისი **აკადემიური ხარისხის** დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი) ასლი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;
- **ავტობიოგრაფია** (CV), **სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების** ამსახველი ინფორმაცია (*მიუთითეთ*: ა) თქვენი ძირითადი სამუშაო ადგილი; ბ) ავტობიოგრაფია; წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით)

- **სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის** ჩამონათვალი (ასევე, არსებობის შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა);
- სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვ.);
- სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ;
- განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული **ხედვა** (კონცეფცია).

2. კონკურსი გამოცხადდეს ამა წლის 20 ოქტომბერს

საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს **2023 წლის 13 ნოემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით** (**11** საათიდან **17** საათამდე), ინსტიტუტის შენობაში.

მისამართი: ბელიაშვილის 78, მე-2 სართული, ოთახი 203

ინსტიტუტის დირექტორის ბრძანება **ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე საბჭოს მიერ არჩეული პირის დამტკიცების შესახებ ეცნობოს **თსუ**-ის ადმინისტრაციას - არა უგვიანეს **2023 წლის 27 ნოემბრისა**